

სოციალური უფლებების განსჯადობის მოდელები

ავტორი: მარიამ ბეგაძე¹

შესავალი

კონსტიტუციური სოციალური უფლებები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება, მაგალითად, მექსიკის (1917), ვაიმარის (1919), ასევე საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1921) კონსტიტუციებში. დღეს მსოფლიოში არსებული კონსტიტუციების სამი მეოთხედი სასამართლოს განსჯად, მინიმუმ ერთ სოციალურ უფლებას შეიცავს. თუმცა დაკვირვება აჩვენებს, რომ ყველა სოციალური უფლება „თანაბრად“ არ გავრცელებულა. მაგალითისთვის, თუკი განათლებაზე უფლება ფაქტობრივად უნივერსალურია, უფლებები წყალსა და საკვებზე იშვიათია.² რიგი კონსტიტუციებისა (ესპანეთი, იტალია, ირლანდია, ინდოეთი) სოციალურ უფლებებს სახელმწიფოს მოვალეობად, მისი პოლიტიკის განმსაზღვრელ პრინციპად განიხილავს, ზოგი კი (სამხრეთ აფრიკა) მას პირდაპირ განსჯად სტატუსს ანიჭებს. საინტერესოა, რომ ზოგჯერ სოციალურ უფლებასთან მიმართებით უფრო კონკრეტული სახელმწიფო ვალდებულებაც არის გაწერილი. მაგალითად, ინდონეზიის კონსტიტუციის თანახმად, განათლებისთვის გამოყოფილი თანხები (ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე) სახელმწიფო ბიუჯეტის 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.³

საერთაშორისო დონეზე სოციალური უფლებები, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად 1948 წლის ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში გვხვდება. თუმცა გაეროს 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი მათ ცალკე გამოყოფს. დაყოფის მიუხედავად, საერთაშორისო სამართალი ამ ორი ჯგუფის

¹ მარიამ ბეგაძე - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი (2018 წლიდან). მისი სადოქტორო თემა იკვლევს ჯანმრთელობის უფლების საფუძველზე განხილული სასამართლო საქმეების გავლენას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე კოლუმბიაში, სამხრეთ აფრიკასა და ინდოეთში. 2022 წლის ივნისიდან, მარიამი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ მინიჭებული გრანტის ფარგლებში ოპოზიციის მიერ მართული ადგილობრივი ხელისუფლებების წინააღმდეგ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკებსა და ზოგადად დაფარული მოტივით გატარებული პოლიტიკების სასამართლო ზედამხედველობის საკითხებს იკვლევს. წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნებულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, 2022 წლის 22 სექტემბერს.

² Rosevear, Evan, Ran Hirschl, Courtney Jung, and Amartya Sen. “Justiciable and Aspirational Economic and Social Rights in National Constitutions.” Chapter in *The Future of Economic and Social Rights*, ed. Katharine G. Young (Cambridge: Cambridge University Press, 2019), 37–65.

³ ინდონეზიის კონსტიტუცია, მუხლი 31 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3chVzja> ; წვდომის თარიღი: 24.08.2022).

უფლებებს შორის იერარქიას უარყოფს და მათ „ურთიერთდამოკიდებულ“ და „განუყოფელ“ ბუნებას უსვამს ხაზს.⁴ იმის გათვალისწინებით, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების არასაკმარისი რესურსები, ხშირ შემთხვევაში, სოციალური უფლებების მყისიერად რეალიზების ობიექტური დაბრკოლებაა, პაქტი სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ სახელმწიფო ვალდებულებებს „პროგრესული რეალიზების“ პრინციპთან აკავშირებს. ამ პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოებს სოციალური უფლებების სრული რეალიზებისთვის (გონივრული) დრო ეძლევათ.⁵ თუმცა პროგრესული რეალიზების ვალდებულების შესასრულებლად, როგორც მინიმუმ, სახელმწიფოებმა კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯები უნდა გადადგან. ანალოგიურად, სახელმწიფოს მყისიერად ეკისრება სოციალური უფლებების უზრუნველყოფისას დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებაც.⁶ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ 1990 წელს გამოცემულ ზოგად კომენტარში ჩნდება პროგრესული რეალიზების შემზღვეველი „საბაზისო მინიმუმის“ [minimum core] კონცეფციაც, რომელიც სახელმწიფოს ვალდებულებების ნაწილს პრიორიტეტს ანიჭებს. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით, მაგალითად, პირველად ჯანდაცვასა და თავშესაფარზე (მეორადი ჯანდაცვისა და ადეკვატური საცხოვრისისგან განსხვავებით) უფლებების კუთხით არსებული პრობლემები „პროგრესული რეალიზების“ პრინციპზე მითითებით ვერ გამართლდება და განსაკუთრებით მკაცრ შეფასებას დაექვემდებარება. კერძოდ, შემოწმდება, სახელმწიფომ გადადგა თუ არა ყველა შესაძლო ნაბიჯი და გამოიყენა თუ არა ყველა არსებული რესურსი უფლებების „საბაზისო მინიმუმის“ დასაცავად.⁷ განსაკუთრებით მკაცრ შეფასებას დაექვემდებარება ის ღონისძიებებიც, რომლებიც სოციალური უფლებების სარგებლობის კუთხით აქამდე არსებულ მდგომარეობას აუარესებს.⁸ ამასთან, კომიტეტის განმარტების თანახმად, სახელმწიფოს მიერ სოციალური უფლებების აღსრულებისთვის გადადგმული ნაბიჯები უნდა ითვალისწინებდეს

⁴უფლებების ურთიერთდამოკიდებულ ბუნებაზე საუბრობდნენ 1948 წლის ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის ტექსტის მომზადების პროცესში, განუყოფელი ბუნება კი ხაზგასმულ იქნა 1968 და 1993 წლებში, ადამიანის უფლებებზე საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებულ თეირანის პროკლამაციასა და ვენის დეკლარაციაში.

⁵ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 3: The Nature of States Parties' Obligations (Art. 2, Para. 1, of the Covenant), 14 December 1990, E/1991/23, პარ. 1, 9.

⁶ იქვე, პარ. 1, 2.

⁷ იქვე, პარ. 10.

⁸ იქვე, პარ. 9.

მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და პრიორიტეტს ანიჭებდეს განსაკუთრებით მძიმე და რისკის შემცველ სიტუაციებს.⁹

სოციალური უფლებების აღიარების, ზოგადი გარანტიებისა და პრინციპების განსაზღვრის მიუხედავად, მათი სასამართლო განხილვის ფარგლები, განსაკუთრებით პოზიტიური ვალდებულებების¹⁰ ნაწილში ბუნდოვანი რჩება. ამ საკითხზე მეტი სიცხადისთვის სტატიაში განხილული და საერთო მახასიათებლების მიხედვით კლასიფიცირებული იქნება ეროვნული სასამართლოების ამ დრომდე არსებული გამოცდილება, რაც ნიადაგს მოამზადებს სოციალური უფლებების განსჯადობის ფორმებზე თეორიული მსჯელობისთვის.¹¹

წინამდებარე სტატიაში სასამართლო გადაწყვეტილებების ხუთი ტიპია გამოყოფილი: (1) ინდივიდუალური პროცედურული ან ინდივიდუალური პოლიტიკის გარანტიების დამდგენი; (2) ინდივიდუალური არსებითი გარანტიების დამდგენი; (3) საერთო (კოლექტიური) პროცედურული ან საერთო (კოლექტიური) პოლიტიკის გარანტიების დამდგენი; (4) საერთო (კოლექტიური) არსებითი გარანტიების დამდგენი; (5) მასშტაბური რეფორმის გარანტიების დამდგენი. სოციალურ უფლებებზე მიღებული გადაწყვეტილებების პირველი ოთხი უზოგადესი სახე ნიუდიკმა (Newdick) ჯანმრთელობის უფლებასთან მიმართებით ჩამოაყალიბა.¹² მეხუთე კატეგორიად ამ სტატიაში გამოყოფილია ის საქმეები, რომლებიც პოლიტიკის სფეროს არა რომელიმე ასპექტის, არამედ მის სრულ გადაფასებას გულისხმობს და, მასშტაბიდან გამომდინარე, განსჯადობის სხვადასხვა ფორმის ელემენტებს შეიძლება ერთდროულად შეიცავდეს. სტატიის მიზანი განსჯადობის არსებული მოდელების

⁹ An evaluation of the obligation to take steps to the "maximum of available resources" under an Optional Protocol to the Covenant [on Economic, Social and Cultural Rights], E/C.12/2007/1, 21 September 2007, პარ. 8 (f).

¹⁰ ზოგჯერ, პატივისცემის, დაცვის და რეალიზების ასპექტებს შორის მკვეთრი ხაზის გავლენაც რთულია. მაგალითად, ცალსახა არ არის, საქმე გვაქვს პატივისცემის თუ რეალიზების ასპექტებთან, როდესაც საკითხი სახელმწიფოს მიერ მინიმალური შემოსავლის დაბეგვრის აკრძალვას ეხება. ხშირად, სახელმწიფოს მიერ უფლებით სარგებლობაში ჩარევის წინაპირობაა გარკვეული პროცედურული, ან არსებითი გარანტიების მინიჭება. მაგალითად, პროცედურული გარანტიები აუცილებელია გამოსახლების, სოციალური დახმარების მოხსნის, ელექტროენერჯის ჩაჭრის დასაშვებობისთვის. ზოგჯერ გამოსახლება დაუშვებლად მიიჩნევა არსებითი გარანტიის - ალტერნატიული საცხოვრისის მოძიების, ან/და ამ საკითხებზე მოსახლეობასთან "შინაარსიანი" მოლაპარაკებების გამართვის გარეშე. უფლებაში ჩარევამდე (მაგ. სოციალური დახმარების შემცირებამდე) სახელმწიფოს შეიძლება დაევალოს არჩეული პოლიტიკის მხარდამჭერი მტკიცებულებების შეგროვებაც.

¹¹ ავტორის შენიშვნა: სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებ-გვერდზე მალე გამოქვეყნდება ამავე ავტორის რიგით მეორე სტატია მოცემულ საკითხზე - „სოციალური უფლებების სასამართლო განსჯადობის ოქროს შუალედი: დიალოგური მართლმსაჯულება“).

¹² Newdick, Christopher, "Can Judges Ration with Compassion? A Priority-Setting Rights Matrix," *Health and human rights* 20, no. 1 (2018): 107-120.

ილუსტრაცია და არა კონკრეტული ქვეყნების რელევანტური იურისპრუდენციის სრულყოფილი შესწავლაა. შესაბამისად, გადაწყვეტილებები სხვადასხვა ქვეყნის იურისპრუდენციიდან შეირჩა მხოლოდ იმ კრიტერიუმით, რომ ისინი სტატიაში წარმოდგენილი ტიპების მკაფიო მაგალითებს წარმოადგენენ. მოდელების დახასიათებამდე მოკლედ მიმოვიხილავთ სოციალური უფლებების განსჯადობის გარშემო არსებულ თეორიულ დისკუსიასაც.

I. სოციალური უფლებების განსჯადობის თეორიული პრობლემები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სოციალური უფლებების მსგავსად, სახელმწიფო ვალდებულებების სამ კომპონენტს მოიცავს - პატივისცემა (respect), დაცვა (protect) და რეალიზება (fulfill). შესაბამისად, არასწორია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მხოლოდ პატივისცემის ასპექტთან¹³ და პირიქით, სოციალური უფლებების მხოლოდ დაცვის და რეალიზების პოზიტიურ ასპექტებთან გაიგივება.¹⁴ თუმცა ვერც იმას უარვყოფთ, რომ სოციალური უფლებების აღსრულებისთვის საჭირო რესურსები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა უფლებებით სარგებლობისთვის საჭირო ოდენობას.¹⁵ ამას პასუხობს პაქტით განსაზღვრული პროგრესული რეალიზების პრინციპიც და სოციალური უფლებების განსჯადობის გარშემო არსებული დისკუსიაც ამ ხარისხობრივი განსხვავების გამოძახილია.

განსჯადობის წინააღმდეგ თეორიული არგუმენტები, პირველ რიგში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს უკავშირდება. ეს პრინციპი სახელმწიფო რესურსების განაწილების და ხარჯვის სტრატეგიას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივებს მიაკუთვნებს. რესურსების გადანაწილების გარდა, სოციალური უფლებების განსჯადობა იმიტომაც არის პრობლემურად მიჩნეული, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, წარმოდგენილი მხარეების გარდა მესამე პირებზეც აქვს გავლენა. ეს გავლენა კი

¹³ არაერთი პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის, საარჩევნო, შეკრების უფლებებიდან.

¹⁴ მაგალითად, გამოსახლების კონტექსტში, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულებები საცხოვრისის უფლებასთან კავშირში.

¹⁵ Alston, Philip, and Gerard Quinn, "The Nature and Scope of States Parties' Obligations under the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights," *Human Rights Quarterly* 9, no. 2 (1987): 184.

ხშირად წინასწარ განუჭვრეტელია.¹⁶ შესაბამისად, სოციალური უფლებების განსჯადობის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს ამ უფლებებთან დაკავშირებული საქმეების გადასაწყვეტად ლეგიტიმაცია და კომპეტენცია არ აქვს. სოციალური უფლებების განსჯადობას ყველაზე კრიტიკულად ის თეორიები უდგებიან, რომლებიც სასამართლოს ორ მხარეს შორის დავის გადამწყვეტ აპოლიტიკურ ორგანოდ ხედავენ, რომელმაც წარსულში მომხდარ ფაქტებზე მტკიცებულებებისა და რაციონალური არგუმენტების საფუძველზე უნდა იმსჯელოს და, საბოლოოდ, სავალდებულოდ შესასრულებელი მითითება გასცეს.¹⁷ თუმცა მართლმსაჯულების ასეთი „წმინდად პროცედურული“, პოლიტიკურად ნეიტრალური გაგება უბრალოდ აღარ შეესაბამება რეალობას. კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფარგლებში არაერთი პოლიტიკური საკითხის სასამართლოს გზით გადაწყვეტა გლობალურ ტენდენციად იქცა. დღეს სასამართლოები წყვეტენ ისეთ საკითხებს როგორცაა პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ოლქების გადანაწილების და თავად არჩევნების ბედიც კი.¹⁸

სოციალური უფლებების განსჯადობა განსაკუთრებით მწვავე განხილვის საგანი 90-იან წლებში, „მესამე ტალღის“ კონსტიტუციების მიღების ეტაპზე გახდა.¹⁹ თუმცა ამ დისკუსიამ, არაერთი ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფონზე, პირველადი რელევანტურობა დაკარგა.²⁰ დღეს მკვლევარები, განსჯადობის შესახებ არსებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, სასამართლოების ჩართულობის სასურველ ფორმებზე მსჯელობენ ან/და, მიღებული გადაწყვეტილებების მაგალითზე, სასამართლოს როლს აკრიტიკებენ. არსებულ სასამართლო გამოცდილებაზე დაყრდნობით განასხვავებენ სოციალური უფლებების განსჯადობის სამ ფორმას: კატეგორიულს, დეფერენციულს

¹⁶ Lon L. Fuller, "The Forms and Limits of Adjudication," *Harvard Law Review* 92, no. 2 (December 1978): 353-409. ამ მოსაზრებას ამერიკის სასამართლოების მიერ განხილული კონკრეტული საქმეების მაგალითზე ამტკიცებს ჰოროვიცი, იხ. Donald L. Horowitz, *The Courts and Social Policy* (Washington, D.C: The Brookings Inst, 1977).

¹⁷ Henry M. Hart et al., *The Legal Process: Basic Problems in the Making and Application of Law* (Westbury, N.Y: Foundation Press, 1994).

¹⁸ Owen Fiss, 'Foreword: The Forms of Justice' (1979) 93 *Harv L Rev* 1; Martin M. Shapiro, *Courts: A Comparative and Political Analysis* (Chicago: Univ. of Chicago Press, 2004); Ran Hirschl, "The Judicialization of Mega-Politics and the Rise of Political Courts," *Annual Review of Political Science* 11, no. 1 (June 1, 2008): 93-118.

¹⁹ მესამე ტალღის კონსტიტუციებს უწოდებენ მე-20 საუკუნის დასასრულს, მესამე ტალღის დემოკრატიული ტრანზიციების შემდგომ მიღებულ, კონსტიტუციებს, იხ. Samuel Huntington, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century* (University of Oklahoma Press, 1991).

²⁰ ასეთია საერთაშორისო სამართლის პოზიციაც. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გაეროს კომიტეტი განსჯადობის კატეგორიულ უარყოფას თვითნებურად განიხილავს მე-9 ზოგად კომენტარში პაქტის ეროვნულ აღსრულებაზე, იხ. General Comment No. 9: The domestic application of the Covenant, 3 December 1998, E/C.12/1998/24, პარ. 10.

(თვითშემზღუდველს) და დიალოგურს. პირველი ორი მიდგომა განსჯადობის ორი უკიდურესი ფორმაა. პირველ შემთხვევაში სასამართლო შინაარსობრივად განსაზღვრულ დირექტივას აძლევს ხელისუფლების სხვა შტოებს, მაგალითად, პირდაპირ ავალებს, დააფინანსონ კონკრეტული პირის ან ჯგუფის მიერ მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურება. დეფერენციული სასამართლო პირიქით - თვითშემზღუდვას მიმართავს და კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს დასკვნებს, რომლებიც პოლიტიკური პროცესის შედეგად იქნა გამოტანილი. ამ ორ უკიდურეს ფორმას შორის არის დიალოგური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც სასამართლო, კონკრეტული პოლიტიკის შინაარსის დადგენის გარეშე, იძლევა ზოგად მითითებებს, მაგალითად, იმის შესახებ, რომ გარკვეულ სფეროში რეფორმა აუცილებელია ან/და ასეთი რეფორმა გარკვეულ მიმართულებებს უნდა შეიცავდეს.²¹ მას დიალოგურს სწორედ იმიტომ უწოდებენ, რომ ამ მოდელის პირობებში სასამართლო საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესზე კონსტრუქციულად ზემოქმედებს და საბოლოო პოლიტიკის არჩევანი სასამართლო და პოლიტიკური შტოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. სასამართლო, საკითხის პოლიტიზირებასთან ერთად, ადგენს გარკვეულ სტანდარტებს, რომლებსაც საბოლოო შედეგი უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა დეტალების განსაზღვრის პრეროგატივა პოლიტიკურ შტოებს რჩებათ.²²

ამ სტატიაში წარმოდგენილი განსჯადობის მოდელები, თავის მხრივ, კატეგორიულ და დიალოგურ მოდელებს მიესადაგება. კერძოდ, ინდივიდუალური ან საერთო (კოლექტიური) პროცედურული და პოლიტიკური გარანტიები სწორედ დიალოგური სასამართლო მიდგომის პირობებში გაიცემა. მეორეს მხრივ, არსებითი გარანტიები, იქნება ეს გაცემული ინდივიდუალური მოსარჩელისთვის თუ ჯგუფისთვის, სწორედ კატეგორიული მიდგომის მაგალითებია. კატეგორიული და დიალოგური მიდგომების დამატებით, გადაწყვეტილებების ბენეფიციარების მიხედვით, ჩაშლა განსჯადობის ნიუანსების უკეთ დანახვას ემსახურება.

²¹ P.J Yap, *Constitutional Dialogue in Common Law Asia* (Oxford University Press, 2015); Gauri, Varun and Brinks, Daniel M., Human Rights as Demands for Communicative Action (January 1, 2012). World Bank Policy Research Working Paper No. 5951.

²² Pedro Felipe de Oliveira Santos, "Beyond Minimalism and Usurpation: Designing Judicial Review to Control the Mis-Enforcement of Socio-Economic Rights," *Washington University Global Studies Law Review* 18, no. 3 (2019): 494. ავტორის შენიშვნა: დიალოგურ მოდელზე უფრო ვრცლად იხილეთ ამავე ავტორის რიგით მეორე სტატია - „სოციალური უფლებების სასამართლო განსჯადობის ოქროს შუალედი: დიალოგური მართლმსაჯულება“, რომელიც უახლოეს მომავალში განთავსდება სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებ-გვერდზე).

II. სოციალური უფლებების განსჯადობის მოდელები მინიჭებული გარანტიების შესაბამისად

1. ინდივიდუალური პროცედურული გარანტიები

პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პროცედურული გარანტიის მაგალითს წარმოადგენს ინგლისის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს პაციენტის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინება და, გამონაკლისის სახით, ალტერნატიული მკურნალობის დაფინანსებაზე მსჯელობა დაევალა, რადგან დაავადება „ფენილკეტონურიის“ სამკურნალოდ აუცილებელი დიეტის დაცვა, აუტიზმის გამო, პაციენტისთვის შეუძლებელი იყო (ასეთი პრობლემა მოსახლეობის დაახლოებით 0.03%-ს ჰქონდა).²³

ამ მოდელის ქვეშ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც სასამართლო თავს იკავებს კონკრეტული არსებითი გარანტიის მინიჭებისგან და, ადმინისტრაციული სამართლის ტრადიციის კვალდაკვალ, გადაწყვეტილებაში წარმოჩენილი დასაბუთების გათვალისწინებით, შესაბამის ორგანოს საკითხის ხელახლა განხილვას დიალოგურ რეჟიმში სთხოვს. ეს მოდელი ავითარებს ინგლისის საერთო სამართლის ტრადიციისთვის კარგად ნაცნობ ტესტს [*Wednesbury test*]²⁴, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების მიღებისას ყველა რელევანტური ფაქტორის გათვალისწინებისა და პირიქით, არარელევანტური გარემოებების უგულებელყოფის ვალდებულებას აკისრებს. ინდივიდუალური პროცედურული გარანტიები ხშირია საცხოვრისის უფლებასთან მიმართებით გამოსახლების საქმეებშიც.²⁵ თუმცა ამ შემთხვევებში პროცედურული გარანტიები გაიცემა სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებასთან მიმართებით, არ შეუზღუდოს პირს უკვე არსებულ საცხოვრისზე წვდომა, რომლის განხილვაც ამ სტატიის ფარგლებს სცდება.²⁶

²³ SB v. NHS England [2017] EWHC 2000 (Admin).

²⁴ Associated Provincial Picture Houses, Limited v Wednesbury Corporation [1948] 1 KB 223 (CA) 233-234.

²⁵ Olga Tellis v. Bombay Municipal Corporation (1985) 3 S.C.C. 545.

²⁶ Fredman, Sandra. "The Right to Housing." In *Comparative Human Rights Law* (Oxford: Oxford University Press, 2018), 279-280.

2. ინდივიდუალური არსებითი გარანტიები

სოციალური უფლებების ინდივიდუალური არსებითი დაკმაყოფილება ხშირია ლათინურ ამერიკაში. აქ სასამართლოები, ზემოთ განხილული საბაზისო მინიმუმის ლოგიკით, პირდაპირ ავალდებულებენ პოლიტიკურ შტოებს, ზოგადი პოლიტიკის ცვლილების გარეშე გასცენ რაიმე სარგებელი ან სერვისი. ლათინური ამერიკის ქვეყნებში წლიურად წარდგენილი ათი ათასობით სარჩელის (მაგ. 2008 წელს 142,957 სარჩელი კოლუმბიაში) უმეტესობა (დაახლოებით 80% ბრაზილიასა და კოლუმბიაში), როგორც წესი, კმაყოფილდება. მაგალითად, კოლუმბიაში ამ საჩივრების ნახევარზე მეტი იმ მედიკამენტებსა და სერვისებზე წვდომას შეეხებოდა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ჯანდაცვის პაკეტში ისედაც შედიოდა. შესაბამისად, ის პოლიტიკური შტოების მიერ უკვე გათვალისწინებულ ხარჯებსა და არსებულ ვალდებულებებს არ სცდებოდა.²⁷ თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოსარჩელები ხშირად ითხოვენ უფასო წვდომას ექიმის მიერ გამოწერილ იმ ძვირადღირებულ მედიკამენტებსა და სერვისებზეც, რომლებიც ჯანდაცვის პაკეტის მიღმაა (მაგ. წლიურად, 400 000\$ ღირებულების მედიკამენტზე - ბრაზილიაში, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე - კოლუმბიაში²⁸). ეს კი, საბოლოოდ, ჯანდაცვის მთლიანი სისტემის ფინანსურ მდგრადობაზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, კოსტა რიკის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა ორიგინალ მედიკამენტებზე მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩამნაცვლებელი გენერიკი პრეპარატები არსებობდა.²⁹ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 2016 წელს, ბრაზილიის ფედერალურმა მთავრობამ 400 მილიონი დოლარი დახარჯა ჯანმრთელობის უფლებაზე ინდივიდუალური საჩივრების საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.³⁰ თუმცა უნდა ითქვას, რომ

²⁷ Daniel Wei L. Wang, Rights, Politics and the Political Economy of Medicines, *Humanity Blog*, 2019, (ხელმისაწვდომი: <https://bit.ly/3Abuw12>; წვდომის თარიღი: 24.08.2022).

²⁸ Yamin, Alicia Ely, et al. "Colombia: Judicial Protection of the Right to Health: An Elusive Promise?" *Litigating Health Rights: Can Courts Bring More Justice to Health?*, ed. Alicia Ely Yamin and Siri Gloppen (Harvard University Press, 2011) 103–31.

²⁹ Daniel M. Brinks, "Social Rights Constitutionalism" in *The Oxford Handbook of Constitutional Law in Latin America*, eds. Conrado Hübner Mendes, Roberto Gargarella, and Sebastián Guidi (Oxford University Press, 2022), 755.

³⁰ Kapczynski, Amy, "The Right to Medicines in an Age of Neoliberalism," *Humanity: An International Journal of Human Rights, Humanitarianism, and Development* 10, no. 1 (2019): 84–85. David Landau, "The Reality of Social Rights Enforcement," *Harvard International Law Journal* 53 (2012): 215. Pedro Felipe de Oliveira Santos, "Beyond Minimalism and Usurpation: Designing Judicial Review to Control the Mis-Enforcement of Socio-Economic Rights," *Washington University Global Studies Law Review* 18, no. 3 (2019): 536–537.

ინდივიდუალური საჩივრების მასშტაბურ დაკმაყოფილებას მოჰყვა არაპირდაპირი შედეგებიც, როგორცაა სახელმწიფოს მიერ გარკვეულ საკითხზე ზოგადი პოლიტიკის შემუშავება. ამ პოლიტიკის ბენეფიციარები კი მსგავს სიტუაციაში მყოფი პირები იმის მიუხედავად გახდნენ, მიმართეს თუ არა მათ სასამართლოს. ასე მოხდა, მაგალითად, ბრაზილიასა და კოლუმბიაში შიდსის სამკურნალო მედიკამენტებთან მიმართებით.³¹

ლათინური ამერიკისგან განსხვავებით, მედიკამენტებზე ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების პრაქტიკა უზენაესი სასამართლოს დონეზე არ დამკვიდრებულა ინდოეთში. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევის სახით, დელის უმაღლესმა სასამართლომ პოლიტიკურ შტოებს სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი და იშვიათი დაავადებისთვის საჭირო ძვირადღირებული მედიკამენტის დაფინანსება დაავალა.³² გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც მკურნალობის დაფინანსებაზე ინდივიდუალურ მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა, საჭირო მედიკამენტის გარეშე, სიცოცხლისთვის სახიფათოა და მკურნალობის სხვა შესაძლებლობა ხელმისაწვდომი არ არის. მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების გამო სასამართლოს მიერ განხილული და დაკმაყოფილებული საქმეების რაოდენობა გერმანიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან შედარებით, ჯანდაცვის სისტემის ფინანსური მდგრადობისთვის უმნიშვნელოა.³³

არაერთი ავტორის დაკვირვებით, ინდივიდუალური მართლმსაჯულება, რომელსაც მასშტაბური ხასიათი აქვს, პრაქტიკაში შესაძლოა განაწილებითი სამართლიანობისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიმართულებით არსებითი თანასწორობის მიღწევის საწინააღმდეგო ეფექტის მქონე გახდეს. ძვირადღირებულ, არახარჯთეფექტიან მედიკამენტებსა და სამედიცინო სერვისებზე წვდომის მინიჭებით სასამართლო ითხოვს ინვესტიციას, რაც თავისთავად გულისხმობს შემცირებულ რესურსებს, მაგალითად,

³¹ Fredman, Sandra. "The Right to Health." In *Comparative Human Rights Law* (Oxford: Oxford University Press, 2018), 263; Prado, Mariana Mota, "The Debatable Role of Courts in Brazil's Health Care System: Does Litigation Harm or Help?" *The Journal of Law, Medicine & Ethics* 41, no. 1 (April 2013): 124–37; Hogerzeil, Hans V., Melanie Samson, Jaume Vidal Casanovas, and Ladan Rahmani-Ocora, "Is Access to Essential Medicines as Part of the Fulfillment of the Right to Health Enforceable through the Courts?" *The Lancet* (2006):305–11.

³² Mohd. Ahmed v. Union of India, (2014) 6 HCC (Del) 118.

³³ Stefanie Ettelt, "Access to Treatment and the Constitutional Right to Health in Germany: A Triumph of Hope over Evidence?," *Health Economics, Policy and Law* 15, no. 1 (January 2020): 30–42.

პირველადი ჯანდაცვისთვის და სხვა სოციალური უფლებებისთვის.³⁴ უფლების განმარტების ასეთ რისკებზე საუბრობს ჯანმრთელობის უფლების შესახებ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარიც.³⁵ ამასთან, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა, როგორც წესი, უმეტესად პრივილეგირებული და საშუალო ფენების წარმომადგენლებს აქვთ.³⁶ ეს კიდევ უფრო ართულებს ე.წ. „რიგის გადახტომის“ [que-jumping]³⁷ პრობლემას. კერძოდ, სასამართლოში წარმოდგენილი ინდივიდუალური ინტერესების დაკმაყოფილება წინ უსწრებს სასამართლოს გარეთ „მათი რიგის“ მომლოდინე პირებისას და ისინი კვლავ პრობლემური სახელმწიფო ინსტიტუტების და პოლიტიკების პირისპირ რჩებიან.

3. საერთო (კოლექტიური) პროცედურული ან პოლიტიკის ზოგადი გარანტიები

ინდივიდუალური პროცედურული გარანტიებით შემოსაზღვრული განსჯადობის მსგავსად, კრიტიკოსებისთვის სასამართლოს ტრადიციულ როლთან ყველაზე ახლოს დგას გადაწყვეტილებები, რომლებიც საერთო (კოლექტიური) პროცედურულ ან პოლიტიკის ზოგად გარანტიებს ეხება. ასეთ საქმეებზეც სასამართლოები, როგორც წესი, ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელ „რაციონალურობის“ და „გონივრულობის“ ტესტებს იყენებენ.

³⁴ Yamin, Alicia Ely. "Promoting Equity in Health: What Role for Courts?" *Health and Human Rights* 16, no. 2 (2014): 1–9. Ferraz OL. The right to health in the courts of Brazil: worsening health inequities? *Health and Human Rights* 11, no. 2 (2009): 33–45. Da Silva, Virgilio Afonso, and Fernanda Vargas Terrazas, "Claiming the Right to Health in Brazilian Courts: The Exclusion of the Already Excluded?" *Law & Social Inquiry* 36, no. 4 (2011): 825–53. Flood, Colleen M., and Aeyal Gross. "Conclusion: Contexts for the Promise and Peril of the Right to Health." Chapter. In *The Right to Health at the Public/Private Divide: A Global Comparative Study*, ed. Colleen M. Flood and Aeyal Gross (Cambridge: Cambridge University Press, 2014): 451–80. Fredman, Sandra. "The Right to Health." In *Comparative Human Rights Law* (Oxford: Oxford University Press, 2018), 261. Daniel M. Brinks, *Social Rights Constitutionalism* in The Oxford Handbook of Constitutional Law in Latin America, ed. by Conrado Hübner Mendes, Roberto Gargarella, and Sebastián Guidi (Oxford University Press, 2022), 755; Ole Frithjof Norheim and Bruce M. Wilson, "Health Rights Litigation and Access to Medicines: Priority Classification of Successful Cases from Costa Rica's Constitutional Chamber of the Supreme Court," *Health and Human Rights* 16, no. 2 (2014), 47.

³⁵ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12 of the Covenant), 11 August 2000, E/C.12/2000/4, para. 19.

³⁶ Gauri, Varun, and Daniel M. Brinks, "The Impact of Legal Strategies for Claiming Economic and Social Rights," in *Closing the Rights Gap: From Human Rights to Social Transformation*, ed. LaDawn Haglund and Robin Stryker (University of California Press, 2015) 96–97.

³⁷ Katharine G. Young. "Rights and Queues: On Distributive Contests in the Modern State." *Columbia Journal of Transnational Law* 55, no.1 (2016): 65–137; Albie Sachs, "The Judicial Enforcement of Socio-Economic Rights: The Grootboom Case," *Current Legal Problems* 56, no. 1 (2003) 598.

გარკვეული ჯგუფისთვის საერთო პროცედურული გარანტია გასცა ინგლისის უზენაესმა სასამართლომ საქმეში, სადაც დარღვევად იქნა მიჩნეული სქესის შეცვლის ოპერაციის დაფინანსებაზე უარი. სასამართლოს მითითებით, შესაბამისმა ორგანომ ვერ დაადასტურა, რომ უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყველა რელევანტური ფაქტორი იყო გათვალისწინებული. დაფინანსების ერთ-ერთი წინაპირობა იყო სქესის შეცვლის ოპერაციის ეფექტიანობაზე მტკიცებულება რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევებიდან, რაც გულისხმობს შემთხვევითობის პრინციპით კვლევის მონაწილეების შერჩევასა და, როგორც მინიმუმ, ორ ჯგუფად განაწილებას. ეს კი, პაციენტების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გართულებული იყო. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ბლანკეტური იყო, არ ითვალისწინებდა ყველა მნიშვნელოვან ფაქტორს და კონკრეტული პაციენტების ინდივიდუალურ მდგომარეობას. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის მიუხედავად, სასამართლომ ოპერაციის დაფინანსების მითითება არ გასცა და მხოლოდ გადაწყვეტილების გადახედვა მოითხოვა.³⁸

ამ მოდელში უნდა განვიხილოთ სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილება *Grootboom*-ის საქმეზეც. მოცემულ დავაში სასამართლომ საცხოვრისის უფლების დარღვევად მიიჩნია პოლიტიკა, რომელიც, მართალია, ეფექტიანადაც შეიძლება ჩათვლილიყო, თუმცა საერთოდ არ ითვალისწინებდა გადაუდებელი თავშესაფრის შესახებ კომპონენტს და, შესაბამისად, ყველაზე მოწყვლადი უსახლკარო ჯგუფის საჭიროებებს უგულებელყოფდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დარეგისტრირებულ პირებს სათანადო საცხოვრისის მიღებამდე წლობით უწევდათ ლოდინი და სახელმწიფო ორგანოები, გასაგები მიზეზების გამო, მათი დაკმაყოფილების ზუსტ დროს ვერ ასახელებდნენ. ამ პირობებში გადაუდებელი კომპონენტის არარსებობა გამართლებული ვერ იქნებოდა. სასამართლოს სიტყვებით, სათანადო საცხოვრისის მიმართულებით არსებული სტატისტიკური პროგრესი გონივრულობის ტესტს ვერ დააკმაყოფილებს, თუკი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები იგნორირებულია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გადაწყვეტილებას თავშესაფრის მინიჭება არ მოჰყოლია და მსჯელობა მხოლოდ პოლიტიკის შესწორებაზე მითითებით შემოიფარგლა. კერძოდ, სასამართლომ, კონკრეტული ოდენობის

³⁸ R v North West Lancashire Health Authority, ex parte A, D & G [2000] 1 WLR 977.

მითითების გარეშე, ბიუჯეტის გონივრული ნაწილის ამ კომპონენტზე მიმართვა მოითხოვა. *Grootboom*-ის გადაწყვეტილებამ განსჯადობის კრიტიკოსების აღიარება მოიპოვა. მათ ცნეს სოციალურ უფლებებზე სასამართლოს სამართალწარმოების პოზიტიური პოტენციალი, რაც პოლიტიკური შტოების მიერ რესურსების გადანაწილების კომპეტენციაში ჩარევის გარეშე მიღწევადი იყო.³⁹

სასამართლო პოლიტიკურ შტოებს ხშირად კონკრეტული „რეცეპტის“ გარეშე, პოლიტიკის ახალი კომპონენტების მოცვას (მაგ. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება), გაუმჯობესებას ან/და შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას სთხოვს. მექსიკის უზენაესი სასამართლოს მიერ 2020 წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სტატისტიკის და გეოგრაფიის ეროვნულ ინსტიტუტს დაევალა, დემოგრაფიულ აღწერაში მოეცვა არაფორმალური დასახლებების შესახებ ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო სოციალური უფლებების, განსაკუთრებით კი საცხოვრისის უფლების რეალიზებისთვის.⁴⁰ უგანდის საკონსტიტუციო სასამართლომ, ჯანმრთელობის და სიცოცხლის უფლებებიდან გამომდინარე და მშობიარობის დროს ქალების გარდაცვალების მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებელზე მითითებით, სახელმწიფოს ზოგადი მითითებები მისცა. შესაბამის ორგანოებს, მათ შორის, დედათა ჯანმრთელობის მიმართულებით შემდეგი წლის ბიუჯეტის გაზრდა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პირების გადამზადება და პარლამენტში დედათა ჯანმრთელობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა დაევალა.⁴¹ ნეპალის უზენაესი სასამართლო არ შემოიფარგლა პოლიტიკის რომელიმე კომპონენტით ან დაფინანსების ზოგადად გაზრდის მოთხოვნით და აღმასრულებელ ხელისუფლებას საშვილოსნოს პროლაფსისა და მასთან დაკავშირებული, უკიდურესად მაღალი დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის პრობლემის გადასაჭრელად, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე კანონპროექტის მომზადება და პარლამენტისათვის წარდგენა დაავალა.

³⁹ Government of the Republic of South Africa and Others v Grootboom and Others 2001 (1) SA 46; Tushnet, Mark. *Weak Courts, Strong Rights: Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law* (Princeton: Princeton University Press, 2009).

⁴⁰ Un Techo para mi País México vs. Instituto Nacional de Estadística y Geografía 635/2019 (2020), (მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3R6q36F> ; წვდომის თარიღი: 24.08.2022).

⁴¹ Center for Health, Human Rights and Development (CEHURD), Prof. Ben Twinomugisha, Rhoda Kukiriza, Inziku Valente v. Attorney General - Constitutional Petition No. 16 (Maternal Health Care), (მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TblUQK> ; წვდომის თარიღი 24.08.2022).

სასამართლოს მითითების საფუძველზე, კანონპროექტი უნდა შემუშავებულიყო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად.⁴²

იმის მიუხედავად, რომ ამერიკის უზენაესი სასამართლო დღემდე კრიტიკულია სოციალური უფლებების მიმართ, შტატების სასამართლოებმა, ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული იურისპრუდენცია განავითარეს, მათ შორის განათლების უფლებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ განათლების უფლებასთან დაკავშირებით არსებულ უთანასწორობას ამერიკაში სისტემური მიზეზი აქვს. შტატების უმეტესობაში სკოლების დაფინანსება ადგილობრივ დონეზე შეგროვებული საკუთრების გადასახადებით ხდება. ამიტომ მდიდარ უბნებში არსებულ სკოლებს უკეთესი დაფინანსება და, შესაბამისად, უფრო ხარისხიანი განათლების მიწოდების შესაძლებლობა აქვთ. თავდაპირველად, სამართალწარმოების სტრატეგია თანასწორობის უფლებაზე აკეთებდა აქცენტს და ზოგჯერ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება მდიდარ უბნებში სკოლების დაფინანსების შემცირებით ხდებოდა. შედეგად, უფლებადამცველებმა შეცვალეს სტრატეგია და მოთხოვნების წარდგენა, თანასწორობის უფლების ნაცვლად, „საბაზისო განათლებაზე“ უფლების საფუძველზე დაიწყო.⁴³ ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ „ადეკვატური ბაზისური განათლების“ კუთხით მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ შტატის მიერ ამ მიმართულებით გაღებული რესურსები არასაკმარისი იყო და კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არღვევდა. სასამართლო სკოლის მოსწავლეების საბაზისო კითხვის, ანგარიშის და კომუნიკაციის უნარების შესამოწმებლად თავად პოლიტიკური შტოების მიერ შედგენილი სტანდარტული ტესტების შედეგებს დაეყრდნო, რაც, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გადმოსახედიდან, ნაკლებად პრობლემური იყო. სასამართლომ შტატს დაფინანსების და მენეჯმენტის არსებული სისტემის რეფორმირება, ადეკვატური საბაზისო განათლების მიწოდებისთვის აუცილებელი ხარჯების ოდენობის განსაზღვრა და ამ უფლების რეალიზებაზე ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა დაავალა. შტატის მთავრობას რეფორმის წარსადგენად 12 თვე განესაზღვრა, პროცესს კი პირველი ინსტანციის სასამართლო

⁴² Prakash Mani Sharma v. Gov't of Nepal (SCN, Writ No. 064), (მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TbYQBe>; წვდომის თარიღი: 24.08.2022).

⁴³ Rebell, Michael A. “The Right to Education in the American State Courts.” Chapter. In *The Future of Economic and Social Rights*, ed. Katharine G. Young (Cambridge: Cambridge University Press, 2019), 137–57.

გაუწევდა ზედამხედველობას.⁴⁴ ეს დირექტივები არ შესრულდა, რადგან სააპელაციო სასამართლომ⁴⁵ გამოყოფილი თანხების რაციონალურობაზე არგუმენტები მისაღებად მიიჩნია და საქმე შეწყვიტა.⁴⁶ თუმცა ეს საქმე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ობიექტურ ინფორმაციაზე (ტესტების შედეგებზე) დაყრდნობით, სასამართლომ რეფორმის საჭიროების მქონე ან პოლიტიკურ დღის წესრიგში შესატანი სისტემური პრობლემა გამოკვეთოს და პოლიტიკურ შტოებს ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდა ან/და პოლიტიკის ცვლილება მოსთხოვოს. ნიუ-იორკის შტატისგან განსხვავებით, სასამართლოს დირექტივები დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით შესრულდა სხვა შტატებში, მაგალითად, კანზასში.⁴⁷

შედეგად, ამ საქმეებში სასამართლოები, რესურსების კონკრეტულ გადანაწილებაზე საბოლოო გადაწყვეტილების გარეშე, სამართლიანი პროცედურის ან პოლიტიკის აუცილებელ კრიტერიუმებს განსაზღვრავენ, რაც განსჯადობის დიალოგურ ფორმას შეესაბამება. ამასთან, პროცესზე არსებული პოლიტიკის დასაბუთება ხდება, რაც პოლიტიკური ხელისუფლების ანგარიშვალდებულებასაც უზრუნველყოფს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში კი, სასამართლო პოლიტიკური ხელისუფლების შტოებს პოლიტიკის გადახედვა/გაუმჯობესებისკენ უბიძგებს.

4. საერთო (კოლექტიური) არსებითი გარანტიები

საერთო არსებითი გარანტიების მინიჭებასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევებში, როდესაც მომჩივნები მთლიან ჯგუფს წარმოადგენენ ან, მაგალითად კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, მიღებული გადაწყვეტილება ყველა მსგავს სიტუაციაში მყოფ პირზე ვრცელდება. გარდა ამისა, საერთო არსებითი გარანტიების საფუძველი ხდება ის საქმეებიც, რომლებშიც სასამართლო იმდენად ვიწრო არჩევანს უტოვებს პოლიტიკურ შტოებს, რომ

⁴⁴ Campaign for Fiscal Equity, Inc v State of New York (CFE II) 86 NY2d 307 (1995).

⁴⁵ მანამდე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დანიშნა ექსპერტების პანელი იმის გამოსათვლელად, თუ რა დამატებითი ხარჯები იყო საჭირო კონსტიტუციური ვალდებულების შესასრულებლად. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ეს თანხა იყო 3.7 მილიარდი დოლარი. თუმცა, ასეთი მიდგომა, სააპელაციო სასამართლომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევად მიიჩნია.

⁴⁶ Campaign for Fiscal Equity, Inc v State of New York (CFE III) 8 NY3d 14 (2006); Rebell, Michael A. “The Right to Education in the American State Courts.” Chapter. In *The Future of Economic and Social Rights*, ed. Katharine G. Young (Cambridge: Cambridge University Press, 2019), 148.

⁴⁷ Richard E. Levy, “Gunfight at the K-12 Corral: Legislative vs. Judicial Power in the Kansas School Finance Litigation,” *Kansas Law Review* 54 (2006): 1021.

გადაწყვეტილების აღსრულება მთლიანად ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე ვერ მოხდება. თავის მხრივ, პოლიტიკური შტოებისთვის დატოვებული არჩევანის დავიწროება სასამართლოს ყველაზე მეტად ისეთ სიტუაციებში შეუძლია, სადაც პოლიტიკურ ხელისუფლებას პრობლემის გადაწყვეტის საჭიროება, გარკვეული ფორმით (თუმცა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე), უკვე აღიარებული აქვს.

ვენესუელის უზენაესმა სასამართლომ⁴⁸ 1999 წელს დააკმაყოფილა შიდსით დაავადებული პაციენტების ჯგუფის მოთხოვნა მედიკამენტების მიწოდებაზე.⁴⁹ გადაწყვეტილება თავდაპირველად არ ვრცელდებოდა სხვა პაციენტებზე,⁵⁰ თუმცა ეს პოზიცია სასამართლომ 2001 წელს შეცვალა. შედეგად, მიღებული გადაწყვეტილება შიდსით დაავადებულ ყველა სოციალურად დაუცველ პირზე გავრცელდა.⁵¹

საერთო არსებითი გარანტიების გაცემის შემთხვევები ასევე დამახასიათებელია ისეთი საქმეებისთვის, რომლებშიც სახელმწიფოს მიერ უკვე გადადგმული ნაბიჯები სასამართლოს უფრო კატეგორიული მითითების გაცემას უადვილებს. ვაქცინის წარმოების უკვე დაწყებული პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში, არგენტინის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სააპელაციო სასამართლომ, სახელმწიფოს ვაქცინის წარმოების პროცესის დაფინანსების გაგრძელება და აღებული ვალდებულებების დროული შესრულება დაავალა. მართალია, სასამართლომ საკუთარ მსჯელობაში ზოგადად

⁴⁸ საინტერესოა, რომ ჩავესის ხელისუფლებაში მოსვლის და 2004 წელს უზენაესი სასამართლოს უზენაესი ტრიბუნალით ჩანაცვლების შემდგომ, ახალი მოსამართლეებით დაკომპლექტებულმა სასამართლომ გარკვეულწილად შეასუსტა სოციალური უფლებების განსჯადობა, იმით, რომ უარი თქვა ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკების სოციალური უფლებების კრილში შეფასებაზე და ის დასაშვები მხოლოდ ხელშესახები ინდივიდუალური უფლებრივი ინტერესის არსებობისას გახადა.

⁴⁹ სასამართლომ ასევე გასცა მითითებები შიდსით გამოწვეული სხვა დაავადებების მკურნალობის დაფინანსებაზე, ზოგადად პოლიტიკის შემუშავებაზე, დაფინანსების გაზრდასა და პრევენციის ზომების მიღებაზე, მაგალითად, საინფორმაციო კამპანიის განხორციელებაზე.

⁵⁰ Cruz del Valle Bermúdez y otros vs. MSAS s/amparo. Expediente N° 15.789. Sentencia N° 196, (მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3R4Ieth> ; წვდომის თარიღი: 24.08.2022); იხ. ასევე Torres, Mary Ann, "The Human Right to Health, National Courts, and Access to HIV/AIDS Treatment: A Case Study from Venezuela," *Chicago Journal of International Law* 3, no. 1 (2002).

⁵¹ López, Glenda y otros c. Instituto Venezolano de los Seguros Sociales (IVSS) s/ acción de amparo. Expediente 00-1343. Sentencia N° 487, (მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pGNMP2> ; წვდომის თარიღი: 24.08.2022); Cabrera, Oscar A., and Fanny Gómez. "Litigating the Right to Health in Venezuela: A 'Justiciable' (?) Right in the Context of a Deficient Health Care System," Chapter. In *The Right to Health at the Public/Private Divide: A Global Comparative Study*, ed. Colleen M. Flood and Aeyal Gross (Cambridge: Cambridge University Press, 2014), 414-415.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, თუმცა გადაწყვეტილება დიდწილად სწორედ სახელმწიფოს მიერ ვაქცინის წარმოებაზე ვალდებულების თავდაპირველი აღიარების ფაქტს დაეფუძნა.⁵²

მსგავსი ლოგიკის იდენტიფიცირება ასევე შესაძლებელია სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიულ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს იმ შეზღუდვების მოხსნა დაევალა, რომლებიც დედასა და ახალშობილს შორის შიდსის რისკის შესამცირებლად მედიკამენტ “ნევირაფინზე” უფასო წვდომას მხოლოდ პილოტური პროგრამის ფარგლებში უშვებდა (მედიკამენტის ყიდვა შესაძლებელი იყო). ამავე გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს დაევალა, ეს მედიკამენტი გარკვეული ვადის ფარგლებში ხელმისაწვდომი გაეხადა პილოტური პროგრამის მიღმაც. მოცემული საქმე განსაკუთრებულია რამდენიმე გარემოების გამო: პირველი, პილოტური პროგრამა უკვე არსებობდა, რაც მიანიშნებდა, რომ, სახელმწიფოს მხრიდან მედიკამენტის უსაფრთხოდ ჩათვლის შემთხვევაში, მასში ინვესტიცია გონივრულად იყო მიჩნეული; მეორე, შეზღუდვების დაწესებას საფუძვლად პოლიტიკური ხელისუფლების მიერ მეცნიერულად დადასტურებული ფაქტების უარყოფა ედო; და ბოლოს, მძლავრი სოციალური კამპანიის შედეგად მომჩივან ორგანიზაციას უკვე მოპოვებული ჰქონდა უფასო წვდომა ხუთი წლის განმავლობაში სამყოფ მარაგზე. რამდენადაც, ამ შემთხვევაში, უფლების რეალიზებისთვის მთავარი დაბრკოლება შეზღუდვა (და არა ფასი) და მასთან დაკავშირებული მცდარი სამედიცინო მოსაზრებები იყო, საფრთხეების არარელევანტურად და შეზღუდვის არაგონივრულად ცნობამ სასამართლოს მედიკამენტზე ფართო ხელმისაწვდომობის პირდაპირი მოთხოვნა გაუმარტივა.⁵³

საერთო არსებით გარანტიებში ითარგმნება ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებებიც, რომლებიც პოლიტიკური შტოების დისკრეციას იმდენად ზღუდავს, რომ მომჩივნების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა მათ არჩევანი, ფაქტობრივად, არ რჩებათ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე, რომელიც თავშესაფრის მაძიებლების სოციალურ დახმარებას ეხებოდა, დარღვევად მიიჩნია ის გარემოება, რომ 1993 წლის შემდგომ დახმარების ოდენობა არ გაზრდილა, იმის მიუხედავად, რომ ინფლაციის შედეგად მისი

⁵² Mariela Viceconte v. Ministry of Health and Social Welfare Case No 31.777/96 (1998).

⁵³ Minister of Health and Others v Treatment Action Campaign and Others (No 2) 2002 (5) SA 721 (CC).

რეალური მსყიდველუნარიანობა 30%-ით შემცირდა. მართალია, სასამართლომ დახმარების ხელახალი გამოთვლა სახელმწიფო ორგანოებს მიანდო, თუმცა გადაწყვეტილების შესრულება დახმარების ოდენობის გაზრდის გარეშე ვერ მოხდებოდა.⁵⁴

5. სტრუქტურული დიალოგური გადაწყვეტილებები სისტემის სრულ რევიზიაზე

საჯარო ინტერესის სამართალწარმოების [public interest litigation] ამერიკული ტრადიციის მიხედვით, სტრუქტურულ საქმეებს შემდეგი სამი მახასიათებლით განასხვავებენ: (1) ის ეხება დიდ ჯგუფს; (2) კვთაშია რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობის სფეროებთან; (3) უფლების დაცვის სტრუქტურული საშუალებების გამოყენებით წყდება.⁵⁵ ქვემოთ განხილული საქმეები ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. დამატებითი მახასიათებელი კი ის არის, რომ ხშირად ამ საქმეებში, წინა ოთხი მოდელისგან განსხვავებით, ერთი მხრივ, პროცედურული პოლიტიკის და მეორე მხრივ, არსებითი გარანტიები ერთდროულად გვხვდება.

ამ მოდელის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებს კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციაში ვხვდებით. იძულებით გადაადგილებული პირების (3-4 მილიონი ადამიანი) უფლებებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო „არაკონსტიტუციური მოცემულობის“ [unconstitutional state of affairs] შესახებ დოქტრინას დაეყრდნო.⁵⁶ მსჯელობის თანახმად, სოციალური უფლებების კონტექსტში არაკონსტიტუციური მოცემულობა გულისხმობს „ბაზისური მინიმუმის“ დაკმაყოფილების მასობრივ პრობლემებს, რაც სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, პოლიტიკურ შტოებს გეგმის შემუშავება მოსთხოვოს მოცემულობის გამოსასწორებლად და დაინტერესებული პირების მონაწილეობით.⁵⁷ ინდივიდუალური მოსარჩლელების უფლებების დაკმაყოფილებისა

⁵⁴ Asylum Seekers Benefits case 132 BVERFGE 134 (July 18, 2012).

⁵⁵ Diana Rodríguez-Franco, César Rodríguez-Garavito, “Courts, Strategic Litigation, and Social Change” in *The Oxford Handbook of Constitutional Law in Latin America*, eds. Conrado Hübner Mendes, Roberto Gargarella, and Sebastián Guidi (Oxford University Press, 2022), 445.

⁵⁶ Manuel José Cepeda Espinosa, “The Constitutional Protection of IDPs in Colombia” In *Judicial Protection of Internally Displaced Persons: The Colombian Experience*, ed. Arango R, Washington (DC: Brookings Inst. 2009), 1-49; Bilchitz David, “Constitutionalism, the Global South, and Economic Justice” in *Constitutionalism of the Global South: The Activist Tribunals of India, South Africa, and Colombia*, ed. Daniel Bonilla Maldonado (Cambridge: Cambridge University Press, 2013), 65-66.

⁵⁷ Iturralde Manuel, “Access to Constitutional Justice in Colombia: Opportunities and Challenges for Social and Political Change” in *Constitutionalism of the Global South: The Activist Tribunals of India, South Africa, and Colombia*, ed. Daniel Bonilla Maldonado (Cambridge: Cambridge University Press, 2013), 386, 387, 398-399.

და გეგმის შემუშავების ზოგად მოთხოვნასთან ერთად სასამართლომ კონკრეტული მითითებებიც გასცა, რომლებიც პოლიტიკის შემუშავების პროცესზე (მის წარმატებაზე) არაპირდაპირ გავლენას მოახდენდა. მაგალითად, შესაბამის ორგანოებს იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობის, ადგილმდებარეობის, საჭიროებების დადგენა, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საბიუჯეტო ხარჯების და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობის წილის განსაზღვრა დაევალა. ამასთან, „არაკონსტიტუციური მოცემულობის“ შესახებ აქამდე მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ამ საქმეზე სასამართლომ გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველობა განაგრძო. 2014 წლის მდგომარეობით, მითითებულ საქმეზე დამატებით 289 მითითება/ბრძანება გამოიცა, ასევე 20 საჯარო სასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც შესაბამისი თანამდებობის პირები გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ანგარიშებს წარადგენდნენ. მსგავსი საჯარო სხდომები ჩატარდა რეგიონებშიც. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის უფრო ეფექტიანი მონიტორინგისთვის სასამართლომ, 2009 წელს, სპეციალური - 3 მოსამართლისგან შემდგარი პალატაც შექმნა. შედეგად, გადაწყვეტილებასა და მონიტორინგს იძულებით გადაადგილებული პირების უფლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოჰყვა. ეს კი პირდაპირ კავშირშია ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებულ არაერთ ცვლილებასთან, მათ შორის, კონკრეტულად ამ ჯგუფის უფლებებზე კანონმდებლობის მიღებასთან.⁵⁸

დიალოგური მოდელის მახასიათებლები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. ამ საქმეში სასამართლომ ჯანმრთელობის უფლების ინდივიდუალური მოთხოვნების საფუძველზე აღსრულების პრობლემურობა (სასამართლოს 1998 წლიდან 2008 წლამდე გადაწყვეტილი ჰქონდა 700 000-მდე ინდივიდუალური სარჩელი, რაც მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასაც უქმნიდა პრობლემებს) ცნო. გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, ზოგადი რეფორმის გარეშე ინდივიდუალური დარღვევები ვერ აღმოიფხვრებოდა. სასამართლომ „გონივრულობის“, „პროპორციულობის“, „პროგრესული რეალიზების“ პრინციპებსა და შეზღუდული

⁵⁸ Rodríguez-Garavito, César, and Diana Rodríguez-Franco, “The Case Study: Forced Internal Displacement and the Intervention of the Colombian Constitutional Court,” Chapter. In *Radical Deprivation on Trial: The Impact of Judicial Activism on Socioeconomic Rights in the Global South* (Cambridge: Cambridge University Press, 2015), 30–45.

რესურსების პირობებში კომპეტენტური ორგანოების მიერ პრიორიტეტების განსაზღვრის აუცილებლობაზე ისაუბრა. იმავდროულად მან ასევე შეინარჩუნა უფლების „საბაზისო მინიმუმის“⁵⁹ ნაწილში სახელმწიფოს მყისიერ ვალდებულებებთან მიმართებით არსებული ზოგადი მიდგომა და წარდგენილი ინდივიდუალური მოთხოვნებიც დააკმაყოფილა. სასამართლომ პოლიტიკურ შტოებს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის გეგმის წარდგენა, პაკეტის განახლება (მათ შორის დემოგრაფიული, ეპიდემიოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით), პაკეტით დაფარული ჯანდაცვის სერვისებისა და მედიკამენტების შესახებ ბუნდოვანების აღმოფხვრა (50% სარჩელების პაკეტში ისედაც გათვალისწინებულ სერვისებსა და მედიკამენტებზე უარს ეხებოდა), დაკონტრაქტებულ სადაზღვევო კომპანიებზე რეგულაციებისა და მონიტორინგის, ასევე ინდივიდებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმების გაუმჯობესება მოსთხოვა. ეს საქმე დიალოგური მართლმსაჯულების ბუნებას კარგად აჩვენებს, რადგან სასამართლო განსაზღვრავს პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად გამოკვეთილ მიზნებს, თუმცა მათი მიღწევის კონკრეტული საშუალებების დადგენას პოლიტიკური ხელისუფლების შტოების უფლებამოსილების სფეროში ტოვებს. ამასთან, სასამართლო, რეფორმის - განსაკუთრებით კი ჯანდაცვის პაკეტის შედგენის პროცესში აუცილებლად მიიჩნევს მეცნიერული მტკიცებულებების გათვალისწინებას, ასევე საზოგადოების და პროფესიული წრეების ჩართულობას. განსაკუთრებით საინტერესოა ჯანდაცვის რეფორმის მიმდინარეობაზე სასამართლო ზედამხედველობაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ზედამხედველობისთვის ცალკე პალატა შექმნა, 21 არასამთავრობო ორგანიზაციით შემდგარ კომიტეტს საქმეზე ზედამხედველობის მანდატი მიანიჭა და ორი საჯარო სხდომაც ჩაატარა. გადაწყვეტილებაზე ზედამხედველობის პროცესში ასობით სასამართლო ბრძანება გამოიცა,

⁵⁹ ჯანმრთელობაზე უფლების 'მინიმალური ბირთვის' განსაზღვრისთვის, სასამართლო მიმართავს 'სერიოზულობისა' [severity] და 'გადაუდებლობის' [urgency] კრიტერიუმებს და ადგენს, რომ პირს კვლავ შეუძლია სასამართლოს მიმართოს დაცვის მყისიერად უზრუნველსაყოფად, 'როდესაც მინიმალური ვალდებულებების შეუსრულებლობა უფლების მატარებელს არაგონივრული ზიანის განცდის მყისიერი საფრთხის წინაშე აყენებს'. ახალი მედიკამენტების და სერვისების სასამართლოს გზით მინიჭებას, ამ ზოგადი სტანდარტით, სასამართლო უშვებს, თუ, სამედიცინო სერვისის გარეშე, პირის სიცოცხლე ან ღირსება დგება საფრთხის ქვეშ, სერვისის ჩანაცვლება პაკეტში არსებული ალტერნატიული მკურნალობით შეუძლებელია, პაციენტს სერვისის საკუთარი ხარჯებით დაფინანსების შესაძლებლობა არ აქვს და სამედიცინო სერვისი ექიმის მიერ არის დანიშნული. აღსანიშნავია, რომ ეს კრიტერიუმები, განსაკუთრებით სიცოცხლისა და ღირსების საფრთხის ქვეშ ჩაყენებასთან მიმართებით, საკმაოდ ფართო უფლებამოსილება უტოვებს სასამართლოს, ინდივიდუალური მოთხოვნების შემდგომში დასაკმაყოფილებლად.

მათ შორის, ინფორმაციის დამუშავების მოთხოვნით. სხდომებზე წარდგენილ იქნა როგორც სამოქალაქო საზოგადოების მოხსენება გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემებზე, ასევე საჯარო დისკუსიის საგანი გახდა პროკურატურის მიერ ინიცირებული გამოძიება სადაზღვევო კომპანიების კორუფციის ბრალდებებზე. საინტერესოა, რომ სასამართლომ წამოჭრა კითხვაც, იყო თუ არა მიზანშეწონილი კერძო კომპანიების როლის შენარჩუნება ჯანდაცვის სადაზღვევო სექტორში.⁶⁰ სხდომების საჯაროობამ და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ, საბოლოოდ, პოზიტიური გავლენა იქონია გადაწყვეტილების აღსრულებაზე. 2015 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელშიც ჯანმრთელობის უფლებასა და ჯანდაცვის სისტემაზე სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები აისახა.⁶¹

კიდევ ერთი საქმე, რომელიც ზემოთ მოცემულ კლასიფიკაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, არის ინდოეთის უზენაესი სასამართლოს ცნობილი სამართალწარმოება ე.წ. საკვების უფლებაზე, რომელმაც 1960 წელს შექმნილი საკვების დისტრიბუციის სისტემის⁶² რეფორმირება დაისახა მიზნად. ამ საქმეზე არასამთავრობო ორგანიზაციამ სასამართლოს ინდოეთის ერთ-ერთ შტატში გვალვისგან გამოწვეულ შიმშილთან დაკავშირებული სიკვდილიანობის კრიზისის შესახებ მიმართა იმ პირობებში, როდესაც დაახლოებით 50 მილიონი ტონა მარცვლეული საექსპორტო ფასის დასარეგულირებლად მარაგში იყო. 2001 წელს სასამართლომ გამოსცა ყველაზე მნიშვნელოვანი დროებითი ღონისძიება (ამ საქმეზე დროებითი ღონისძიებები 2017 წლამდე გაიცემოდა), რომელზეც სახელმწიფოს უმოქმედობა,

⁶⁰ Judgment T-760/08 July 31, 2008; Alicia Ely Yamin, T 760/08 (Colombia Constitutional Court); Max Planck, Encyclopedia, of Comparative Constitutional Law, პარ. 2-3; Alicia Ely Yamin, "Taking the Right to Health Seriously: Implications for Health Systems, Courts, and Achieving Universal Health Coverage," *Human Rights Quarterly* 39, no. 2 (2017), p. 365-366; Everaldo Lamprea, Lisa Forman and Audrey R. Chapman "Structural reform litigation, regulation and the right to health in Colombia" in *Comparative Law and Regulation*, ed. Francesca Bignami and David Zaring (Edward Elgar Publishing, 2016), 342, 345; Everaldo Lamprea, "The Judicialization of Health Care: A Global South Perspective," *Annual Review of Law and Social Science* 13, no. 1 (October 13, 2017): 443. Camila Gianella-Malcaa, Implementing the Colombian Constitutional Court's Health-Care System Ruling of 2008, dissertation submitted to University of Bergen (2013), 62, 70, 73.

⁶¹ Veronica Herrera and Lindsay Mayka, "How Do Legal Strategies Advance Social Accountability? Evaluating Mechanisms in Colombia," *The Journal of Development Studies* (2019): 11-12. Botero, S. Courts that matter: Judges, litigants and the politics of rights enforcement in Latin America (Ph.D. Dissertation). Department of Political Science, University of Notre Dame, Notre Dame, 2015, 94-114; Alicia Ely Yamin and Oscar Parra-Vera, *Judicial Protection of the Right to Health in Colombia: From Social Demands to Individual Claims to Public Debates*, 33 *Hastings Int'l & Comp. L. Rev.* 431 (2010), 120, ft88; Oscar Parra Vera, "The Protection of Social Rights" in *The Latin American Casebook: Courts, Rights, and the Constitution*, eds. Juan F González Bertomeu and Roberto Gargarella (New York: Routledge, 2016): 163, Yamin, Alicia Ely, "The Right to Health in Latin America: The Challenges of Constructing Fair Limits" *University of Pennsylvania Journal of International Law* 40, no. 3 (2019): 712, 728. Arrieta-Gómez Aquiles Ignacio, "Realizing the Fundamental Right to Health through Litigation: The Colombian Case," *Health and Human Rights* 20, no. 1 (2018): 137-138.

⁶² სისტემა შექმნილი იყო 3 მიზნით: ფერმერების მხარდასაჭერად, საბაზრო ფასის დასარეგულირებლად, და მარცვლეულის სუბსიდირებული შესყიდვების საშუალებით დისტრიბუციისთვის.

როგორც კანონქვემდებარე აქტების, ისე საკვებზე კონსტიტუციური უფლების დარღვევად შეფასდა. სახელმწიფოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ყველა ოჯახის იდენტიფიცირება, თვიურად ერთ ოჯახზე 25 კგ მარცვლეულის განაწილება და მომზადებული კერძის სკოლებში მიწოდება დაევალა. ეს გარანტიები, პოლიტიკური შტოების გადაწყვეტილებით, კანონქვემდებარე აქტებში ისედაც არსებობდა. თუმცა ამ გადაწყვეტილებით მათ კონსტიტუციური სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი გაუქმება მომავალში შეუძლებელი იქნებოდა. დამატებით, გადაწყვეტილებით ოდნავ შეცვალა არსებული გარანტიებიც და, მაგალითად, დაკონკრეტდა სკოლაში მიწოდებული კერძის კალორიული შემადგენლობა. მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილი მითითებები, ძირითადად, მაინც დიალოგური ხასიათის იყო და დროებითი ღონისძიებების გამოცემამდე მომჩივნების მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების მიზანშეწონილობის შესახებ სახელმწიფო დასაბუთებას ითვალისწინებდა.⁶³ ექსპერტების შეფასებით, ამ საქმით მიღწეული ცვლილებები ასამდე მილიონ ადამიანს შეეხო და საკვებზე უფლებასთან დაკავშირებული საკითხების კონგრესის დღის წესრიგში შეტანასა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კანონმდებლობაში ასახვაზე იქონია გავლენა.⁶⁴

შეჯამება

განსჯადობის მოდელების ზემოთ განხილული მაგალითები, მათი მახასიათებლებით, მათთან დაკავშირებული რისკების და პოზიტიური პოტენციალის უკეთ დანახვაში გვეხმარება. საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ სოციალური უფლებების საფუძველზე ინდივიდუალური სარგებლის სასამართლოს გზით მინიჭებამ უკუშედეგი შეიძლება მოიტანოს არსებითი თანასწორობის რეალიზების კუთხით და ხელისუფლების დანაწილების

⁶³ PUCL vs. Union of India & others Writ Petition (Civil) No.196 of 2001; Chitalkar, Poorvi, and Varun Gauri. "India: Compliance with Orders on the Right to Food." Chapter. In *Social Rights Judgments and the Politics of Compliance: Making It Stick*, ed. Malcolm Langford, César Rodríguez-Garavito, and Julieta Rossi (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 296 -298, 303; Emma C. Neff, "From Equal Protection to the Right to Health: Social and Economic Rights, Public Law Litigation, and How an Old Framework Informs a New Generation of Advocacy," *Columbia Journal of Law and Social Problems* 43, no. 2 (2009): 165 – 166. Steven Friedman and Diego Maiorano, "The Limits of Prescription: Courts and Social Policy in India and South Africa," *Commonwealth & Comparative Politics* 55, no. 3 (July 3, 2017): 366-368.

⁶⁴ Rehan Abeyratne, "Enforcing Socioeconomic Rights in Neoliberal India," *Minnesota Journal of International Law* 29, no. 1 (Spring 2020): 11, 20, 27. Jennifer Geist Rutledge, "Courts as Entrepreneurs: The Case of the Indian Mid-Day Meals Programme: Courts as Entrepreneurs: The Case of the Indian Mid-Day Meals Programme," *Asian Politics & Policy* 4, no. 4 (October 2012): 527-47.

პრინციპთან დაძაბულობა შექმნას. კოლექტიური არსებითი გარანტიების შემთხვევები განაწილებითი სამართლიანობის კუთხით ნაკლებად პრობლემურია. ამ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, „რიგის გადახტომასთან“ [que-jumping] არ გვაქვს საქმე, რადგან არსებითად მსგავს სიტუაციაში მყოფი პირები დაუყოვნებლივ, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, მოიპოვებენ ასეთ გარანტიებზე წვდომას. ამის მიუხედავად, ამ საქმეებზე ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საკითხი კვლავ აქტუალურია. სწორედ ამიტომ, როგორც წესი, კოლექტიური გარანტიების გაცემა გამონაკლის შემთხვევებში ხდება, როდესაც სახელმწიფოს უკვე გადადგმული აქვს გარკვეული ნაბიჯები და სასამართლო პოლიტიკურ შტოებს მხოლოდ ამ კურსის გაგრძელებას, სისრულეში მოყვანასა და არაგონივრული შეზღუდვების მოხსნას ავალებს.

ამ ორი მოდელისგან განსხვავებით, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური პროცედურული გარანტიები ადმინისტრაციული სამართლის ტრადიციას იმეორებს და ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან დაძაბულობას ფაქტობრივად არ ქმნის. პოლიტიკის შემუშავებისა (როგორც მესამე მოდელის კომპონენტი) და არსებული სისტემის სრული რევიზიის თაობაზე გარანტიები (მეხუთე მოდელი) კი ხორციელდება კონსტიტუციური მართლმსაჯულების დიალოგური ფორმით. როგორც აღვნიშნეთ, მეხუთე მოდელში განხილული საქმეები, ძირითადად, მოთხოვნილი პოლიტიკის ცვლილების მასშტაბურობით განსხვავდება. საერთო კი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში პოლიტიკურ შტოებს აქვთ თავისუფლება, ახალი პოლიტიკის დეტალები განსაზღვრონ. თუმცა ისინი არსებული მოცემულობის შენარჩუნების ნაწილში შეზღუდულები არიან. კერძოდ, სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პოლიტიკის უცვლელი ფორმით, ზოგჯერ კრიზისულ მდგომარეობაში, შენარჩუნებას. მართალია, ამ შემთხვევაშიც, ის ხელისუფლების დანაწილების პრინციპს არ უგულებელყოფს და დიალოგური მიდგომით ზღვარს უდგენს საკუთარ უფლებამოსილებებს, თუმცა ეს საქმეები, განსაკუთრებით კი მეხუთე მოდელის ქვეშ განხილული სტრუქტურული გადაწყვეტილებები, მაინც წარმოადგენენ სამართალწარმოების ტრადიციის ტრანსფორმაციის მაგალითებს.

სამართალწარმოების ტრადიციის ტრანსფორმაციის თეორიულ ჭრილში განხილვა ამ სტატიის ფარგლებს სცდება. თუმცა განხილული მოდელებისა და საქმეების საფუძველზე ერთი რამ ნათელია, დიალოგური განსჯადობის მოდელი, როდესაც ის გამყარებულია (1)

უფლებრივ სტანდარტებზე დაფუძნებული, პრინციპული, დასაბუთებული მსჯელობით, (2) პოლიტიკის შემუშავების პროცესთან დაკავშირებული (არაშინაარსობრივი), ზოგჯერ კატეგორიული მითითებებითა და (3) გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესით, კატეგორიულობის გარეშეც აღწევს სისტემური პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელ პოლიტიკის ცვლილებას. კატეგორიულობის გარეშე კი სასამართლო ხელისუფლების დანაწილების ჩარჩოში რჩება და მის ფარგლებშივე პასუხობს ახალ გამოწვევას, რაც სოციალური უფლებების რეალიზების უზრუნველყოფას გულისხმობს.